ბრძანება:**ბ47.47212941**

თარიღი:**21/10/2021**

**ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი**

**სხდომის მოწვევის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 61 -ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №2 დადგენილებით დამტკიცებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-40 მუხლის საფუძველზე

**ვბრძანებ:**

1.მიმდინარე წლის 26 ოქტომბერს დღის 12 საათზე, მოწვეულ იქნეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

1.1.,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბერის №18 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

***მომხსენებელი:მაია გოგოლაძე***

1.2.ინფორმაცია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის ცხრა თვის შესრულების შესახებ.

***მომხსენებელი:მაია გოგოლაძე***

1.3.მუნიციპალიტეტის მერიის 2021 წლის 9 თვის ანგარიში ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის“ შესაბამისად სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის შესახებ.

***მომხსენებელი: ნიკოლოზ დუმბაძე***

1.4.ახალი კორონავირუსით (COVID-19) გამოწვეული პანდემიიდან გამომდინარე ელექტრონული აუქციონის ფორმით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ჯვარცხმაში მდებარე შენობა-ნაგებობასა და მასზე დამაგრებული 2700.00 კვმ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი - 28.10.23.097) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ჯვარცხმაში მცხოვრები დავით პაიჭაძესა (პ/ნ - 01019003713) და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს შორის 2020 წლის 24 იანვარს გაფორმებული სარგებლობის უფლების (იჯარა) ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეცვლა/გაუქმების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

***მომხსენებელი:ვალერი ყაჭეიშვილი***

1.5.,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს შექმნისა და წესის დამტკიცების თაობაზე, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 30 ივნისის N8 დადგენილებაში ცვლელების შეტანის შესახებ“.

***მომხსენებელი:მაია პაიჭაძე***

1.6.ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის IV კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

***მომხსენებელი:მარინე ბერაძე***

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. N 4.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ზაალ მამალაძე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი